პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სპორტი

№ 45 (6606)

1980 წ. 5 მარტი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

GENS UNA SUMUS

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩები

● ფეხბურთი ● სსრ კავშირის თასი

„დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 3:1 (0:0)

„დინამო“: გაბელია, გ. მაჩაიძე (ქორიძე), ჩივაძე, სულაქველიძე, ჭილაია (მელიქია), დარასელია, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი, მინაშვილი, ყიფიანი, ჩელებაძე (შენგელია).

„ტორპედო“: მჭედლიძე, შუგაევი, გოგოლაძე, შელია, ზ. სვანაძე, ოქროპირაშვილი, ბურკაძე, გორგოძე (თ. სვანაძე), ფესტვენიძე (მხატვარი), ებანოიძე, კვერნაძე.

მსაჯი: ა. ლუშკარეცი (მოსკოვი).

გოლები: მინაშვილი (56-ე წ.), ჩელებაძე (58, 64), მხატვარი (84).

პირველი ტაიმი დაახლოებით თანაბარი ბრძოლით აღინიშნა. მეორე ტაიმში „დინამომ“ უფრო სწრაფად დაიწყო თამაში და მისი უპირატესობაც ხელშესახები გახდა. 56-ე წუთზე თბილისელებმა ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს ქუთაისელთა საჯარიმოში, მინაშვილის დამაგვირგვინებელი დარტყმაც ეფექტური და ზუსტი იყო — 1:0. ამის შემდეგ „ტორპედოს“ კართან იმატა სახიფათო მომენტებმა. პირველი გოლის შემდეგ სულ ორი წუთი იყო გასული, რომ ყიფიანის მიერ კარისკენ დარტყმულ ბურთს ჩელებაძემ ოდნავ შეუცვალა მიმართულება — 2:0. კიდევ 6 წუთის შემდეგ იმავე ჩელებაძემ მესამედ აიღო კარი.

თამაშის ტემპმა იკლო. მატჩის დასრულებამდე 3 წუთით ადრე „ტორპედომ“ მოახერხა მშრალი ანგარიშისგან თავის დაღწევა — ქუთაისელთა კომბინაცია ზუსტად დაამთავრა მხატვარმა — 3:1.

გ. ირემაძე.

* * *

სურათზე: დინამოელი დ. ყიფიანი შეტევაზე.

კ. შანიძის ფოტო.

„ქაირათი“ (ალმა-ათა) — ასკ (ცაგაროვსკი) 2:0 (2:0)

ალმაათელმა ფეხბურთელებმა დასაწყისიდანვე მაღალი ტემპი შესთავაზეს მეტოქეს. უკვე მეხუთე წუთზე გლადილინმა ბურთი მეტოქის კარში მოათავსა. ამის შემდეგ თამაშმა ცენტრში გადაინაცვლა. 35-ე წუთზე „ქაირათის“ მცველი შადიევი მეტოქის მარჯვენა ფრთაზე შეიჭრა. კარის გასწვრივ ჩაწოდებულ ბურთს მიუსწრო ასკ-ს მცველმა და საკუთარ კარში გაგზავნა — 2:0. მე-40 წუთზე ქაირათელი ფეხლევანიდი მეტოქის მცველმა საჯარიმოში უხეშად მოცელა... გლადილინმა ვერ გამოიყენა ანგარიშის გაზრდის ნაღდი შესაძლებლობა. მეორე ტაიმი სანახაობრივად უფრო საინტერესო იყო. ორივე გუნდი თავდაუზოგავად უტევდა, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა.

გ. ლეჟავა.

„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — ასკ (ოდესა) 1:0 (0:0)

გუშინ რუსთავის მეტალურგის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ორჯონიკიძის „სპარტაკისა“ და ოდესის ასკ-ს გუნდები.

პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა. შესვენების შემდეგ უფრო აქტიურად ოდესელები თამაშობდნენ. ბურთის გატანის ნაღდი შესაძლებლობები დაკარგეს ნიკოლაიშვილმა და საფრონენკომ. 70-ე წუთზე კი ორჯონიკიძელთა ერთ-ერთი შეტევის დროს ოდესელებმა თავიანთ საჯარიმო მოედანზე წააქციეს გარღვევაზე გასული ჩქარეული, რისთვისაც მსაჯმა მათ კარში დანიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო. პენალტი ზუსტად დაარტყა ხუადონოვმა —1:0, ეს ანგარიში თამაშის ბოლომდე არ შეცვლილა. გაიმარჯვა „სპარტაკმა“ — 1:0.

რ. გაბრიელაძე.

მაფრ ცაიტნოტში

გუშინწინ თბილისში, ჭადრაკის სასახლეში ნ. გაფრინდაშვილ — ნ. გურიელის მატჩში მეორე პარტია შედგა. იგი გაფრინდაშვილმა მოიგო და დაწინაურდა — 2:0.

აი, როგორ მიმდინარეობდა ეს შეხვედრა:

მეორე პარტია

ნ. გურიელი — ნ. გაფრინდაშვილი

ვოლგის გამბიტი

1. d4 მf6 2. c4 c5 3. d5 b5 4. მf3 g6 5. ლc2 კg7 6. e4 d6 7. cb 0—0 8. მc3 a6 9. a4 ab 10. კ:b5 მa6 11. 0—0 მb4 12. ლb3 კa6 13. კ:a6 ე:a6 14. მd2 ლd7 15. მc4 e6 16. e5 de 17. d6 მ6d5 18. კe3 ლc6 19. მb5 e4 20. ეfd1 მd3 21. კd2 ეaa8 22. კc3 ეab8 23. კ:g7 მფ:g7 24. ლc2 f6 25. f3 მ5f4 26. fe ლ:e4 27. ეe1 ლd5 28. ეe3 e5 29. ეd1 e4 30. g3 მh3+ 31. მფg2 ლf5 32. ეf1 ლg4 33. ლe2 მhf4+. თეთრები დანებდნენ.

რა თქმა უნდა, გურიელმა იცოდა, რომ მისი მრისხანე მეტოქე ხშირად და წარმატებით თამაშობს ვოლგის გამბიტს. ცხადია, იგი სათანადოდ მოემზადა კიდეც, რაც თამაშის დაწყებისას გამოჩნდა.

ვოლგის გამბიტში შავები პაიკს სწირავენ ლაზიერის ფრთაზე ხანგრძლივი დროით ინიციატივის მისაღებად. გურიელმა მიიღო შეწირვა.

პრეს-ცენტრში მოჭადრაკეები ჩვეულებრივი გულისყურით აანალიზებენ მიმდინარე პარტიის ყველა პოზიციას. სწორედ იქ გამოითქვა აზრი, რომ მე-13 სვლაზე ნინოს მხედრის მაგიერ კუ უნდა ეთამაშა. მაგრამ ეს არ გახლდათ მნიშვნელოვანი შენიშვნა. მხედრის მანევრიც ურიგო არ იყო.

კრიტიკული პოზიცია შეიქმნა მე-16 სვლაზე. გურიელმა გაბედული გეგმა აირჩია: მან დათმო ცენტრი, რათა შავების განლაგებაში სოლივით შეჭრილი პაიკი მიეღო. კარგი იყო ეს თუ არა? პრინციპში ცენტრის დათმობა არასასურველია. მაგრამ გურიელის ჩანაფიქრს ის ნაკლი ჰქონდა, რომ მის მხრიდან პოზიციაში არ ჩანდა აქტიური თამაშის გზა, მაშინ, როცა მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ცენტრის დაუფლებამ იერიშის შესაძლებლობა მოუტანა.

თამაშში უკიდურესობამდე დაიძაბა. ტაქტიკური მუქარა ორივე მოჭადრაკისგან დიდ დაკვირვებასა და სიფხიზლეს მოითხოვდა. ამ საპასუხისმგებლო მომენტში გურიელი, რომელიც ცდილობდა ღრმად განეჭვრიტა პოზიცია, სასტიკ ციაიტნოტში აღმოჩნდა (ერთ წუთში 15 სვლა ჰქონდა გასაკეთებელი) და სიჩქარეში ოპტიმალურად ზუსტი გაგრძელების მიგნება უჭირდა. მას, მახვილი ტაქტიკური თვალის მოჭადრაკეს, მაგალითად, 24-ე სვლაზე გამორჩა გონებამახვილური გაცვლითი კომბინაცია, რომელიც ოსტატობის კანდიდატმა ვ. ვეფხვიშვილმა გვიჩვენა: 29. მc7 ლd4 (ერთადერთია, რადგან მუქარაა d3-ზე ეტლში ორი მხედრის მოგება) 30. ლd3! ლაზიერის მხედრით აყვანას მოჰყვება 31. მe6+, ხოლო ლაზიერების გაცვლის შემდეგაც მe6+-ის მუქარა ძალიან სახიფათო ჩანს. ძნელია ციაიტნოტში თამაში. კაცმა არ იცი: სვლაზე იფიქრო თუ მექანიკურად აკეთო იგი, რომ საათზე ალამი არ ჩამოგივარდეს.

პარტიის ფინალშიც გაფრინდაშვილი მტკიცედ და ზუსტად თამაშობდა. გურიელი ისე ჩქარობდა, რომ უხეშად შეცდა (ამ დროს პოზიცია უკვე ძალიან მძიმე ჰქონდა) და ლაზიერის გარდუვალი დაკარგვის გამო წაგო.

გუშინ მატჩის მონაწილენი ისვენებდნენ. დღეს გაიმართება მესამე პარტია. თეთრებით გაფრინდაშვილი ითამაშებს.

თ. გიორგაძე.

* * *

სურათზე: მაყურებელთა დარბაზში: მთელი ოჯახით; პოზიციამ დააინტერესა.

თ. ქიქავას ფოტოები.





მღელვარე შეხვედრა

კისლოვოდსკი, 4 მარტი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ აქ შედგა ე. ახმილოვსკაია — ნ. ალექსანდრიას მატჩის მეორე პარტია, რომელშიც თეთრებით ახმილოვსკაია თამაშობდა.

თბილისელმა დიდოსტატმა მიმართა სლავურ დაცვას, რომელიც ძალიან პოპულარული იყო 30-იან წლებში მსოფლიოს პირველობაზე ა. ალიოხინ — მ. ეივეს მატჩების დროს. ალექსანდრიამ გაათანაბრა თამაში, მაგრამ მე-17 სვლაზე უკეთესი პოზიციის მიღებაც შეეძლო. მე-20 სვლაზე ნანამ პაიკი შესთავაზა მეტოქეს, რომელიც ალბათ უნდა მიეღო ახმილოვსკაიას.

ჩემი აზრით, თამაში კვლავ თანაბარი იქნებოდა 24-ე სვლაზე ნანას რომ ლაზიერი e7-ზე დაეყენებინა. მაგრამ მას ახმილოვსკაიას 27-ე სვლა გამორჩა. თეთრების მხედარმა ისეთი მნიშვნელოვანი უჯრა დაიკავა, რომ ალექსანდრია იძულებული იყო ხარისხი შეეწირა.

შემდგომი თამაში მწვავედ მიმდინარეობდა, მაგრამ უხარისხობა ხელს უშლიდა ალექსანდრიას უფრო აქტიურად ემოქმედა. ლაზიერების გაცვლის შემდეგ პოზიცია განიმუხტა და ახმილოვსკაიას მატერიალური უპირატესობა უფრო გამოიკვეთა.

41-ე სვლაზე პარტია გადაიდო.

აი, პარტიაც:

მეორე პარტია

ე. ახმილოვსკაია — ნ. ალექსანდრია

სლავური დაცვა

1. d4 d5 2. c4 c6 3. მc3 მf6 4. მf3 dc 5. a4 კf5 6. e3 e6 7. კ:c4 კb4 8. 0—0 მbd7 9. ლe2 კg6 10. ეd1 ლc7 11. კd2 a5 12. კe1 0—0 13. ეac1 e5 14. მh4 კh5 15. f3 ed 16. ed ეfe8 17. ლf2 კd6 18. g3 კg6 19. მ:g6 hg 20. ლc2 მb6 21. კb3 ლd7 22. კf2 მbd5 23. მe4 კb4 24. მc5 ლc7 25. მd3 მe3 26. კ:e3 ე:e3 27. მe5 ე:e5 28. de ლ:e5 29. ეd3 ეe8 30. ეcd1 ლc7 31 მფh1 ლe7 32. კc4 g5 33. ეd4 კc5 34. ე4d2 ლe3 35. ლd3 ლ:d3 36. ე:d3 ეe7 37. h3 g6 38. ე3d2 მფg7 39. b3 კb6 40. ეe2 ეc7 41. მფg2. პარტია გადაიდო

დ. ჯანოევი,

საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, ოსტატი.

●

გუშინ

მოეწყო ე. ახმილოვსკაია — ნ. ალექსანდრიას მატჩის პირველი პარტიის დამთავრება. 75-ე სვლაზე გაიმარჯვა ქართველმა დიდოსტატმა. მეორე პარტიის დამთავრება მოეწყობა 7 მარტს.

საქართველოს სპორტკომიტეტში

ჭიდაობის განვითარებას — შეუნელებელი ყურადღება

საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაში საქართველოს მოჭიდავეებმა ყველა სახეობაში საგრძნობლად დათმეს პოზიციები (ამას ვერ ვიტყვით მხოლოდ კლასიკოსებზე). საქართველოს სპორტკომიტეტმა სპარტაკიადის დამთავრებისთანავე საფუძვლიანად გააანალიზა სპარტაკიადაში ჩვენი რესპუბლიკის ათლეტთა მონაწილეობის შედეგები და მდგომარეობის გამოსწორებისთვის სათანადო ღონისძიებაც დასახა.

მას მერე რამდენიმე თვე გავიდა და კომიტეტი კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხს — გაიმართა სპორტსაზოგადოებების, უწყებების წარმომადგენელთა, ჭიდაობის სპეციალისტების გაფართოებული თათბირი. ინფორმაციებით გამოსულებმა ვ. **შახნაზაროვმა** („ლოკომოტივი“), ს. **კაციტაძემ** („კოლმეურნე“), გ. **ზვიადაძემ** („განთიადი“), გ. **სავანელმა** („ბურევესტნიკი“), უ. **გოშაძემ** („დინამო“), მთავარმა მწვრთნელებმა **დ. დავითაიამ** (კლასიკური ჭიდაობა), **ბ. მაზიაშვილმა** (ძიუდო), **გ. სალარაძემ** (თავისუფალი ჭიდაობა), **გ. კახაბრიშვილმა** (სამბო), **ხ. მაისურაძემ** (ქართული ჭიდაობა) ჭიდაობის უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლის დირექტორმა **დ. ღუდუშაურმა** და საქართველოს სპორტკომიტეტის ჭიდაობის სამმართველოს უფროსმა **ვ. ულენტმა** ილაპარაკეს იმ ძვრებზე, რასაც ადგილი ჰქონდა რესპუბლიკაში ჭიდაობის განვითარების საქმეში. აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში უფრო სტაბილური და დახვეწილი გახდა სპორტული ღონისძიებების კალენდარი, რეგულარულად ეწყობა რესპუბლიკის ზონალური და ფინალური შეჯიბრებები ჭიდაობის ყველა სახეობაში, წარმატებით შესრულდა სპორტის ოსტატებისა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატების მომზადების გეგმები, გაიზარდა სპორტულ ნაგებობათა ქსელი — დარბაზები აშენდა კასპში, რუსთავში, თბილისში...

მაგრამ ჭიდაობის მდგომარეობა რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, მთელი დატვირთვით არ მუშაობენ სპორტული საზოგადოებები და უწყებები, ზოგ მათგანს მწვრთნელთა მთელი შტატები არა აქვთ გამოყენებული. მაგალითად, „შრომით რეზერვებში“ არა აქვთ თავისუფალი ჭიდაობის სპეციალისტის შტატი, „ლოკომოტივში“ არ ჰყავთ პასუხისმგებელი მუშაკი კლასიკურ ჭიდაობაში. ბევრგან შეიმჩევა ფაქტები, როცა მწვრთნელები უხეშად არღვევენ შრომითს დისციპლინას — ვარჯიშებზე არ დადიან ან ფორმალურად ატარებენ მეცადინეობებს. ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ზოგიერთ საზოგადოებასა და უწყებებში ჭიდაობასმენებზე დღემდე არ არის შექმნილი კარტოთეკები. დაისვა საკითხი ზაფხულის არდადეგების პერიოდში, განსაკუთრებით ბავშვებისთვის, გამაჯანსაღებელი ბანაკების მოწყობის აუცილებლობის შესახებ. ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს წვრთნის ინტენსივობას. გამოითქვა მოსაზრება, რომ მოსახლეობაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ჭიდაობის პროპაგანდას, რისთვისაც უფრო ხშირად მოეწყოს საჩვენებელი გამოსვლები. თათბირმა ერთი ასეთი ღონისძიების ჩატარება თბილისში მაისისთვის დაგეგმა. განზრახულია დედაქალაქში მოეწყოს შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობაში.

თათბირზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე **დ. პერტენავა.**

ვინ როგორ მუშაობს?

რესპუბლიკაში ახალი ძალით გაჩაღდა სპორტსაზოგადოებების, ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ფიზკულტურის კომიტეტების შეჯიბრება ზაფხულის ოლიმპიურ სახეობებში უმაღლესი სპორტული ოსტატობის განვითარებისთვის. რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა შეაჯამა ამ მიმართებით გაწეული ორი თვის შედეგები. იგი 1 მარტისთვის ასეთ სურათს იძლევა:

I ჯგუფი — ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის ქალაქების ჯგუფი

	ადგილები. I	II	III	ქულ.
ქ. თბილისი	37	21	22	511,0
აჭარის ასსრ	7	7	8	114,0
ქ. რუსთავი	2	1	3	38,0
ქ. გორი	1	1	2	30,0
ქ. ფოთი	2	1	—	26,0
ქ. ქუთაისი	2	—	—	20,0
აფხაზეთის ასსრ	—	1	—	6,0
სამხ. ოს. ა. ო.	—	—	1	2,0

II ჯგუფი — სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ჯგუფი

ასკ	12	8	8	132,0
„ვოდნიკი“	7	8	6	130,0
„შრ. რეზერ.“	9	5	5	114,0
„დინამო“	6	4	3	110,0
„სპარტაკი“	3	3	5	88,0
„ბურევესტნიკი“	5	3	2	68,0
„განთიადი“	5	3	2	63,0
„ლოკომოტივი“	3	2	3	52,2
„კოლმეურნე“	2	1	2	30,0

III ჯგუფი — რესპუბლიკის რაიონები

გარდაბანი	—	2	—	12,0
თელავი	—	1	—	12,0
კასპი	1	—	—	10,0
ლაგოდეხი	—	1	—	6,0

შენიშვნა: 1. გრაფაში — „დაკავებული ადგილები“ აღნიშნულია სპორტსმენების (გუნდების) მიერ ცენტრალური საბჭოების, საკავშირო პროფსაბჭოს შეჯიბრებებში, სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს პირველობებსა და ჩემპიონატებში, საერთაშორისო ტურნირებში მოპოვებული საპრიზო ადგილების რაოდენობა.

2. გრაფაში — „ქულები“ გათვალისწინებულია ზაფხულის ოლიმპიურ სახეობებში მოგროვილი ქულები.

(საქართველოს სპორტკომიტეტის დაგეგმვისა და აღრიცხვის განყოფილება.





8 მარტს ეძღვნება

დამთავრდა დედაქალაქის ქალთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება კიდევ ერთ სახეობაში — მხატვრულ ტანვარჯიშში. იგი ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტდარბაზში ორ დღეს გრძელდებოდა. საერთო გუნდური I ადგილი მოიგო უნივერსიტეტის ნაკრებმა, რომელმაც 183 ქულა მოაგროვა და 15 ქულით ჩამოტოვა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი.

პირად პირველობაში ოსტატთა პროგრამით უძლიერესი იყო უნივერსიტეტის კოლექტივის წევრი ლ. დოლიძე — 47,4. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ვ. სისაური და ი. სააკაშვილი.

* * *

სურათებზე: ლ. დოლიძე (მარცხნივ) და ი. სააკაშვილი ასპარეზობის დროს.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

ᲬᲝᲓᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲐ

ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაციის მოთხოვნების შესრულებისთვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა **სპორტის ოსტატის** წოდება მიანიჭა:

თავისუფალ ჭიდაობაში — **ს. ნიშნიანიძეს** (ქუთაისი, „ლოკომოტივი),“ **ვ. გულბანს** (თბილისი, „ლოკომოტივი“).

კლასიკურ ჭიდაობაში — **ვ. ნემსაძეს** (ქუთაისი, „სპარტაკი“)

სპორტულ ტანვარჯიშში — **ა. ხაჩატურიანს** (თბილისი, „შრომითი რეზერვები“).

ცურვაში — **ვ. იუხნევიჩს** (ბათუმი, „განთიადი“).

ფარიკაობაში — **ვ. გ. ფარადაშვილს** (თბილისი, „ბურევესტნიკი“);

აფროსნობაში — ვ. პ. პეტროსიანს (ბათუმი, „ვოდნიკი“).

● სროლა

ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲮᲐᲖᲖᲔ— ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ

ლვოვში დამთავრდა საბჭოთა არმიის ზამთრის ღია პირველობა. ცეცხლის ხაზზე გამოვიდა 16 ნაკრები, აგრეთვე, ბულგარეთის, უნგრეთისა და რუმინეთის არმიელი სპორტსმენები.

პისტოლეტით 50 მეტრზე სროლაში კარგად იასპარეზა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ქალთა გუნდმა (ტ. სიდამონიძე, ტ. ყაზარიანი, ლ. გოგიაშვილი). მან მოსკოვისა და ლენინგრადის კოლექტივების შემდეგ III ადგილი დაიკავა. ამავე ვარჯიშში ახალგაზრდებს შორის მ. კუჩმაევა (ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი)— III ადგილზე გავიდა.

მცირეკალიბრიანი შაშხანიდან წოლილა სროლაში იმარჯვა ტ. გუცუმ (ოდესის სამხედრო ოლქი) — 600-დან 599 ქულა.

ვაჟთა შორის ამ ვარჯიშში ბულგარელი ქალი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. პელოვაც გამოდიოდა. მან აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი აჩვენა — 600-დან 600 ქულა. ასევე უდანაკარგოდ დაამთავრა შეჯიბრება ვ. ბორაევმა (ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქი). პირველობა პელოვას მიეკუთვნა.

მცირეკალიბრიანი შაშხანის სტანდარტზე (3X20) სროლაში უძლიერესნი იყვნენ კარპატების სამხედრო ოლქის გუნდის წევრები ვ. მელნიკი და ხ. ხალინი. თითოეულმა 585 ქულას მოუყარა თავი. მათ ორი ქულით ჩამორჩა თბილისელი ა. მარუთიანი და მესამე ადგილზე გავიდა.

ქალთა შორის მცირეკალიბრიანი პისტოლეტის მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლაში ხუთმა მონაწილემ (რომელთა შორის ტ. სიდამონიძეც იყო) ერთნაირი შედეგი — 583 ქულა აჩვენა. მათ შორის უძლიერესთა გამოსავლენად დამატებითი ცდა დაინიშნა. სიდამონიძემ დაძაბულობას ვერ გაუძლო და საბოლოოდ V ადგილს დასჯერდა. I ადგილზე გავიდა ნ. კალინინა (კარპატების სამხედრო ოლქი).

ასევე დამატებითმა შეჯიბრებამ გამოავლინა პრიზიორები სილუეტებზე სწრაფსროლაში. რუმინელმა ს. მარინმა და ა. კუზმინმა (კარპატების სამხედრო ოლქი) 300-დან თითოეულმა 3 ქულა დაკარგა. დამატებითმა სერიამ გამარჯვება რუმინელს მოუტანა.

„გაქცეულ ტახზე“ ასპარეზობაში ამიერკავკასიის სამხედრო გუნდის წევრმა ბ. სუხვეჩენკომ ახალგაზრდებს შორის 378 ქულით I ადგილი დაიკავა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: კარპატების სამხედრო ოლქის ნაკრები — 33 სპარიმო ქულა, ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქის გუნდი — 53, ბელორუსიის სამხედრო ოლქის კოლექტივი — 57. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტსმენებმა VI ადგილი დაიკავეს — 70 ქულა.

ლ. გოგიაშვილი,
სპორტის ოსტატი.

ᲔᲠᲗᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ

თბილისის არმიელთა სპორტკლუბის სასროლეთზე დამთავრდა საუწყებო პირველობა მცირეკალიბრიანი იარაღის სროლაში. ქალები ოთხ ვარჯიშს ასრულებდნენ, ვაჟები — ხუთს, პირველი ადგილები კი სულ 5 სპორტსმენს შორის განაწილდა.

ქალთა შორის 2-2 გამარჯვება მოიპოვეს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა, სპორტის ოსტატმა ლ. ძებნიაურმა (დოსაააფი) და არმიის სპორტკლუბის წევრმა, სპორტის ოსტატმა ლ. გოგიაშვილმა.

ვაჟთა შორის ასევე ორ-ორჯერ იმარჯვეს სპორტის ოსტატებმა, არმიელმა ვ. სამოილენკომ და მ. ყამურაშვილმა (დოსაააფი).

მეხუთე ჩემპიონია საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გ. თავდიდიშვილი (ასკ). იგი ტურნირის ერთადერთი მონაწილე იყო, ვინც ამ ასპარეზობაში სპორტის ოსტატის ნორმატივს შეწვდა — „გაქცეულ ტახზე“ შეჯიბრებაში 569 ქულა მოაგროვა. საერთო შედეგები არადამაკმაყოფილებელია — ხუთმა მონაწილემ საპრიზო ადგილები ისე მოიპოვა, რომ პირველი თანრიგიც ვერ შეასრულა.

ტურნირის ტექნიკური შედეგები ასეთია:

ქალები. მცირეკალიბრიანი შაშხანა. წოლილა 60 გასროლა. ლ. ძებნიაური — 588 ქულა, ლ. ენუქიძე — 584, ა. გრიგორიევა (ყველა — დოსაააფი) — 579; **სტანდარტზე (3X20) სროლა.** ძებნიაური — 561, ვ. პანკოვა („დინამო“) — 551, გრიგორიევა — 544. **მცირეკალიბრიანი პისტოლეტი. მრგვალ სამიზნეებზე სროლა.** ლ. გოგიაშვილი (ასკ) — 269, ნ. ძაგანია („დინამო“) — 256, ტ. კოსტოგრიზოვა (ასკ) — 255; **მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლა.** გოგიაშვილი — 565, კოსტოგრიზოვა — 564, მ. აიდინიანი („დინამო“)— 564.

ვაჟები. მცირეკალიბრიანი შაშხანა. წოლილა 60 გასროლა. ვ. სამოილენკო (ასკ) — 587, ა. ბუტკო — 580, ო. კამინსკი (ორივე — „დინამო“) — 578; **სტანდარტზე (3X20) სროლა.** სამოილენკო — 565, ბუტკო — 551, კამინსკი — 545; **„გაქცეულ ტახზე“ სროლა.** გ. თავდიდიშვილი — 569, ს. ქუსიკაშვილი — 560, ვ. სამოილენკო (ყველა — ასკ) — 546. **მცირეკალიბრიანი პისტოლეტი. მრგვალ სამიზნეებზე სროლა.** მ. ყამურაშვილი (დოსაააფი) — 543, ვ. მაზანაშვილი — 531, ო. ერმიშიანი (ორივე — ასკ) — 528; **სილუეტებზე სროლა.** ყამურაშვილი—589, მაზანაშვილი — 582, ერმიშიანი — 575.

გუნდური შედეგები: ასკ — 201 ქულა, „დინამო“ — 181, დოსაააფი — 120.

ქ. ჯიმშელაძე.

„ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ

რედაქციას უპასუხებს საქართველოს კომპარტიის ახმეტის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ვ. ბატიაშვილი:

„**ლელოს**“ 1979 წლის 28 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილი წერილის — „ფიზკულტურისა და სპორტის ხარჯზე“ პასუხად გაცნობებთ, რომ მასში **მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება.** ახმეტის II საშუალო სკოლის ახალი შენობის აგებასთან დაკავშირებით ცენტრალიზებული წესით შემოზიდული იქნა ახალი ინვენტარი. მისი ნაწილი ძველი შენობის სპორტულ დარბაზში შეზიდეს. მიღებულია ზომები სკოლის ახალი შენობის ექსპლუატაციის დასაჩქარებლად. ამჟამად მიმდინარეობს მისი გადახურვა, რომლის დამთავრებისთანავე სპორტდარბაზი გათავისუფლდება სასკოლო ინვენტარისაგან.

ამავე სკოლის მშენებლობასთან დაკავშირებით გამოყოფილი იყო ნაკვეთი ახალი სპორტული მოედნისთვის, ხოლო ძველის ნაწილი გადაეცა ახმეტის II საბავშვო ბაგა-ბაღს ახალი ტიპიური შენობის მშენებლობისთვის. ამან გამოიწვია მარტივი ტიპის სპორტული მოედნის დროებით მოშლა. ამჟამად მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა ახალი სკოლის სპორტული მოედნის მოსაწყობად და სკოლაში ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობისთვის სანიმუშო პირობების შესაქმნელად.

სტიქიური უბედურების შედეგად ზემო ალვანის სასოფლო კლუბის ლიკვიდაციის გამო მშრომელთა საჩივრების, წინადადებების, აგრეთვე, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ზემო ალვანის საშუალო სკოლის სპორტული დარბაზი დროებით გამოყენებულია მასობრივი ღონისძიებების მოსაწყობად და კინოსეანსების საჩვენებლად. ზემდგომმა ორგანოებმა გაითვალისწინეს აღნიშნული მდგომარეობა და ზემო ალვანის საჯიშე მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობას გეგმაში ჩაუსვეს კულტურის სახლის მშენებლობა. ტარდება რადიკალური ღონისძიებები კულტურის სახლის უმოკლეს დროში აშენებისა და ზემო ალვანის საშუალო სკოლაში სპორტული ტრადიციების დაცვა-განმტკიცებისთვის.

● წყალბურთი ● სსრ კავშირის ჩემპიონატი



ბედის ჩარხის ჭრიალი

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (ალმა-ათა) 7:6.

„დინამო“ (თბილისი): მ. გიორგაძე, კურტანიძე, ზუმბულიძე, ხეცურიანი, რურუა, ისელიძე, დოლიძე, მათ გარდა თამაშობდნენ — გვახარია, არუთიუნოვი, კოლუაშვილი და კუტივაძე.

„დინამო“ (ალმა-ათა): იაკოვენკო, მენდიგალიევი, გორშკოვი, აიაპბერგენოვი, კოტენკო, ბაიუნოვი, შჩერბაკოვი, მათ გარდა თამაშობდნენ — ლოშკინი, ორაზბე, ვინოვი და კოროლიოვი.

მსაჯები: ვ. რაშმაჯანი (მოსკოვი) და ა. ტიხონოვი (ლენინგრადი).

ნათქვამია, ადამიანი შეცდომებზე სწავლობსო. თბილისელებმა შინ გამართულ პაექრობებში, ვიდრე ბაქოს კწფ-ს შეხვედებოდნენ, შეცდომები საკმაოდ დაუშვეს. როგორც ჩანს, მასპინძლებმა ის ხარვეზები გაითვალისწინეს და გამარჯვებათა გასაღები იპოვეს. ყოველ შემთხვევაში, ამის თქმის საფუძველს გვაძლევს საკმაოდ დამაჯერებელი გამარჯვება კწფ-სთან, რომლის შესახებაც გუშინ ვიუწყებოდით, აგრეთვე გუშინწინდელი მატჩი ალმა-ათის „დინამოსთან“. მათთან წარმატების მოპოვება მით უფრო სპატიოა, რომ ორივე გუნდის მოთამაშეები სპეციალისტებზე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ.

ჩვენი სიტყვები ფუჭი რომ არ იყოს, გავიხსენოთ „ოლიმპიური სპორტში“ საკავშირო ჩემპიონატის I ტურის შემდეგ ალმაათელთა მისამართით დაწერილი სიტყვები, რომლებიც სპორტის ოსტატ ი. სკიგინს ეკუთვნის: ...„ყაზახეთის დამსახურებულმა მწვრთნელმა ს. პივოვაროვმა და მ. ჩერნიხმა შესძლეს ისეთი ანსამბლის ჩამოყალიბება, რომელსაც ხელეწიფება, თუ მუსიკოსთა ენაზე ვიტყვით, როგორც საესტრადო, ისე სოლიდური კლასიკური ნაწარმოებების შესრულება. ამ ანსამბლში პირველ ვიოლინოზე უკრავენ ს. კოტენკო და ს. გორშკოვი. სარბიელზე კარგად გამოიყურებიან ე. აიაპბერგენოვი, ს. შჩერბაკოვი და გუნდის კაპიტანი ი. ბაიუნოვი. იშვიათად ცდებიან თამაშისას ახალგაზრდა წყალბურთელები ნ. მენდიგალიევი და დ. შაიხუდტინოვ“.

ასე იყო თუ ისე, მასპინძლებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო II პერიოდში რურუა—კურტანიძის სწრაფი კომბინაცია, როცა ამ უკანასკნელმა შორი მანძილიდან კარში მოულოდნელი ტყორცნით მიზანს მიაღწია. ძალზე ეფექტური იყო IV პერიოდში თბილისელთა მიერ ეგრეთწოდებული მეექვსე მოთამაშის გათამაშება, როცა ისელიძე — რურუას კომბინაციას ამ უკანასკნელის ლამაზი გოლი მოჰყვა.

საერთოდ, ამ მატჩში, ზედიზედ მეორედ, თბილისელები კარგად იყენებდნენ ზედმეტ მოთამაშეს. მაგალითად, მათ ოთხჯერ ჰქონდათ რიცხობრივი უპირატესობა და სამჯერ მიაღწიეს მიზანს. თავის მხრივ, სტუმრებმაც ამდენჯერ შეძლეს მეექვსე მოთამაშის გამოყენება, ოღონდ ხუთი შესაძლებლობიდან.

ამ მატჩში პენალტების დიდებული ტყორცნით კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი თბილისელთა გუნდის კაპიტანმა ისელიძემ, რომელმაც ორი ასეთი შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვა.

დამსახურებული გამარჯვება, თქმა არ უნდა, თავისთავად სასიამოვნოა, ოღონდაც, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მასპინძლებმა ყოველგვარი ნაკლი დაძლიეს. მაგალითად, II პერიოდის პირველ ნაწილში, როცა თბილისელებს ანგარიში 3:1-ზე მიჰყავდათ და მეტოქეზე გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ, ერთგვარად მოეშვნენ — როგორც ჩანს, თავიანთმა უპირატესობამ მასპინძლებს იოლი გამარჯვების რწმენა ჩაუნერგა. მოწინააღმდეგემ კარგად გამოიყენა თბილისელთა „ჩათვლუმა“ და მოიგო როგორც II, ისე III პერიოდი (2:1, 2:1). ეგ კი არადა, III პერიოდის დასასრულს ტაბლოზე 4:5 ენთო ალმაათელთა სასარგებლოდ. საბედნიეროდ, თბილისელებმა გადამწყვეტ პერიოდში კვლავ თავის სასარგებლოდ შეცვალეს ბედის ჩარხის ტრიალი. თამაშის დასასრულს ალმაათელები გაჯფთრებით ცდილობდნენ, რათა ქულა მაინც ეხსნათ. მერე რიცხობრივი უპირატესობაც ჰქონდათ, მაგრამ ვეღარაფერს გახდნენ.

თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს: ისელიძემ (3), ზუმბულიძემ, კურტანიძემ, დოლიიძემ და რურუამ.

ა.ბურასაშვილი.

* * *

სურათებზე: ზემოთ — თბილისისა და ალმა-ათის დინამოელთა მატჩის მომენტი. სტუმრები უტევენ თბილისელთა კარს. თამაშობენ ჩამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბისა და მოსკოვის „დინამოს“ გუნდები — ქვემოთ. ა. კოტორაშვილის ფოტოები.



გუშინ

შეჯიბრების დასკვნით დღეს შეხვედრები ასე დამთავრდა: „დინამო“ (კიევი) — „უნივერსიტეტი“ 7:9, ფიზკ — „დინამო“ (ალმა-ათა) 5:8, სსფ ცსკ —„სპარტაკი“ 9:4, „მეხნატი“ — „მოსკვიჩი“ 8:8, „დინამო“ (მოსკოვი) — კწფ 4:4, „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (ლვოვი) 5:3.

საუკეთესო ექვსეულები, რომელიც ჩემპიონატის მედლებისთვის გააგრძელებს ბრძოლას, ასე გამოიყურება: სსფ ცსკ — 19 ქულა, კწფ — 16, „დინამო“ (ალმა-ათა), „უნივერსიტეტი“ 15-15, „დინამო“ (თბილისი) — 14, „დინამო“ (მოსკოვი)—13, ეს შეჯიბრება შემოდგომაზე განახლდება.

ქართული ტრიბუნა

● ჩოგბურთი

თბილისელთა გამარჯვება

მინსკში გრძელდება სსრ კავშირის ჩოგბურთელთა ზამთრის პირველობა. ვაჟთა წყვილების ფინალში თბილისელმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა ა. მეტრეველმა და თ. კაკულიამ მოუგეს ი. ფილევსა და ა. კარპოვს (ორივე — კიევი) — 6:2, 6:7, 6:2, 7:6 და უძლიერესის სახელი მოიპოვეს. ქალთა წყვილებში პირველი ადგილი ხვდათ ნ. ბოროდინასა (მინსკი) და ი. შევჩენკოს (რიგა). მათ დაამარცხეს ბაქოელ ე. გიშიიანისა და დონეცკელ ე. ემეცის დუეტი — 6:4, 3:6, 6:4.

● მძლეოსნობა

მსოფლიოს მიღწევით

ლენინგრადში დამთავრდა საბჭოთა კავშირის მრავალჭიდელთა ზამთრის ჩემპიონატი მძლეოსნობაში. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა რსფსრ-ს ნაკრებმა. პირად ტურნირში ვაჟთა შორის შვიდჭიდში I ადგილზე გავიდა გომელელი სტუდენტი ა. ნევსკი. ქალთა შორის ხუთჭიდში გაიმარჯვა რიბინსკელმა სტუდენტმა ე. სმირნოვამ. მან 4690 ქულა მოაგროვა. ეს დარბაზებისთვის ახალი მსოფლიო მიღწევაა.

● თხილამურებით რბენა

კვლავ ოქრო

ორნსკოლდსვიკში (შვეცია) საბჭოთა იუნიორ მოთხილამურეებმა მსოფლიო პირველობაში კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვეს. კიეველმა ა. კოზელმა, ხაბაროვსკელმა ი. ბურლაკოვმა და მოსკოველმა ა. ჩაიკომ 3X10 კილომეტრზე ესტაფეტაში ყველა მეტოქე ჩამოიტოვეს. მათი შედეგი — 1:29.03 საგრძნობლად სჯობს II ადგილზე გასული შვედების მაჩვენებელს — 1:30.20. „ბრინჯაო“ ერგოთ ნორვეგიელებს — 1:31.51.

სამაგიეროდ, ნორვეგიელებმა იმარჯვეს ქალიშვილების ესტაფეტაში 3X5 კილომეტრზე — 49.51. საბჭოთა ნაკრები IV ადგილზე გავიდა.

● შაში

ლიდერთა ტრიუმვირატი

რუსთავში მიმდინარეობს საქართველოს პირველობა 64-უჯრიან შაშში ქალთა შორის. მონაწილეობდნენ: ოსტატი ნ. ფაილოძე, ოსტატობის კანდიდატები ე. შვედოვა, ი. ბეჟაშვილი (სამი — თბილისი); ჭ. ნასარაია, პირველთანრიგოსნები მ. დარჯანია, მ. ალანია, ნ. ნასარაია (ყველა — ფოთი), მ. ბაქრაძე, ნ. აგლაძე, ლ. ლაზუკი (ყველა — თბილისი), შ. ბოლქვაძე, თ. გრიგოლია (ორივე — სამტრედია).

5 ტურის შემდეგ ლიდერობენ: აგლაძე, ჭ. ნასარაია, ბოლქვაძე — 4-4 ქულა, ფაილოძე — 3,5 (1).

რ. გაბრიჭიძე.
(ჩვენი კორ.).

* * *

სურათზე: შეჯიბრების მომენტი.

ავტორის ფოტო.

● ჭადრაკი

დაწინაურდა რანიკუ

ტალინი, 4 მარტი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ მიმდინარე ქალთა საკავშირო ტურნირში — „ტალინი-80“ გაიმართა III ტურის შეხვედრები.

თ. მესხი (ქუთაისი) დაუზავდა ოსტატ ლ. პიარნპუუს (ტალინი), ხოლო თ. ხუგაშვილმა (თბილისი) გადადო პარტია ხ. იუნთან (ტალინი).

სსრ კავშირის ჩემპიონმა ი. ლევიტინამ (ლენინგრადი) სძლია ლ. შევჩენკოს, მ. რანიკუმ — ტ. ტედერს, ხ. კრუზიაუკმა — ტ. ლიმბერგს (ყველა — ტალინი). დაზავდნენ ნ. ალიოხინა (ვორონეჟი) — ა. გრინფელდი (ლენინგრადი).

3 ტურის შემდეგ ლიდერობს მ. რანიკუ — 2 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

თ. ხარლამიდი.

ორი ლიდერი

რეიკიავიკის საერთაშორისო ტურნირში 8 ტურის შემდეგ ორი ლიდერია—მინსკელი საერთაშორისო ოსტატი ვ. კუპრეიჩიკი და ამერიკელი დიდოსტატი უ. ბრაუნი — 5,5-5,5 ქულა (საბჭოთა მოჭადრაკეს ერთი გამოტოვებული პარტია აქვს). VII! ტურში მოულოდნელად ავად გახდა მისი მეტოქე კ. ხელმერსი (ნორვეგია) და მას დაეწია ბრაუნი, რომელმაც ამ დღეს სძლია ხ. ოლაფსონს (ისლანდია).

მეორე საბჭოთა მოჭადრაკეს, დიდოსტატ ე. ვასიუკოვს 3 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.

● ფიგურული ციგურაობა

ჯერჯერობით მესამე

იევსკში სტარტი აიღო სსრ კავშირის თასის გათამაშებამ ფიგურულ სრიალში. ქალთა შორის ლიდერობს ლენინგრადელი ნ. სტრელკოვა. ვაჟებმა უკვე დაამთავრეს სავალდებულო დამოკლე პროგრამა, რის შემდეგ წინ არიან მოსკოველი ვ. რასჩეტნოვი, თბილისელი გ. შამყულაშვილი ჯერჯერობით მესამე ადგილზეა.

● კალათბურთი

გაიმარჯვა „კოლმეურნემ“

თბილისში დამდეგს თეთრი წყაროში ჩატარდა საბჭოთა კავშირის გმირი ი. დემეტრაშვილის სახელობის გარდამავალი თასის გათამაშება კალათბურთში. სარბიელზე გამოვიდნენ „კოლმეურნის“, „განთიადის“, „სპარტაკისა“ და განათლების განყოფილების ნაკრები გუნდები. შეჯიბრების დასკვნით ეტაპზე ერთმანეთს შეხვდნენ „კოლმეურნისა“ და განათლების განყოფილების კოლექტივები. წარმატება წილად ხვდათ კოლმეურნე სპორტსმენებს და თასსაც ისინი დაეუფლნენ.

თ. წიკლაური.

შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

წინ დიდი სტარტებია

საქართველოში, უპირველეს ყოვლისა ბარში დაბადებული ბავშვი, როგორც კი ფეხს აიდგამს, ბურთის წაპოტინება და მერე ფეხსაც გამოჰკრავს ხოლმე. ბაკურიანელები კი ამბობენ, ჩვენთან დაბადებული ბავშვი ლამის სიარულს დაწყებისთანავე თხილამურებზე დგებაო.

ბაკურიანელი ბადრი მიქაბერიძე ოცნებობდა, რომ შვილი ანდრო კარგი მოთხილამურე გამოსულიყო. 9 წელი რომ შეუსრულდა, მიუბა „დინამოს“ მოთხილამურეთა სექციაში მიიყვანა. სპორტის ოსტატ შოთა კოზანაშვილს მიაბარა დასაოსტატებლად.

ახლა ანდრო ბაკურიანის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეა და ჯერჯერობით მამისა და თავისი მწვრთნელის იმედებს ამართლებს—ახლახან ბაკურიანში გამართულ სამთომოთხილამურეთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში, გიგანტურ სლალომში, ჭაბუკთა შორის უძლიერესის სახელი მოიპოვა.

წინ კიდევ უფრო დიდი სტარტებია...

მ. ვაშალომიძე.

* * *

სურათზე: ა. მიქაბერიძე.

ავტორის ფოტო.

ზონალურ პირველობაზე

ზედაფენის მეურნეობა-ტექნიკუმის სპორტულ დარბაზში ჩატარდა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ ცენტრალური საბჭოს ზონალური პირველობა ფრენბურთში.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, ლანჩხუთის, მახარაძის, წალენჯიხის, გეგეჭკორის, ხობის, აბაშის, ცხაკაიას, მესტიის, ტყიბულის, ცაგერის და ზუგდიდის ქალ-ვაჟთა გუნდები.

ქალთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა მახარაძელ ფრენბურთელთა გუნდი, II-III ადგილები ზუგდიდელ და ცაგერელ სპორტსმენებს ხვდათ წილად.

ვაჟთა შორისაც მახარაძელმა და ზუგდიდელმა ფრენბურთელებმა იმარჯვეს, ხოლო III ადგილზე ცხაკაიელები გავიდნენ.

კ. ფიფია.
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

წიგნის თარო



ყველაფერი საბჭოთა სპორტზე

შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს ჩვენმა ნორჩმა სპორტსმენებმა — გამომცემლობა „პედაგოგიკამ“ დასტამბა მოსკოვის XXII ოლიმპიადისადმი მიძღვნილი სპორტული ცნობარი „ნორჩი სპორტსმენის ენციკლოპედიური ლექსიკონი“. იგი ძირითადად განკუთვნილია საშუალო და უფროსი ასაკის მოსწავლეთათვის.

საინტერესოდ გამოცემული ცნობარი იწყება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებით: „სპორტი — ეს არის ბრძოლა რეკორდებისთვის, ეს არის მილიონთა ჯანმრთელობა, ეს არის მზადყოფნა შრომისთვის, ეს არის ჩვენი ყმაწვილების მომზადება სამხედრო სამსახურისთვის, აღზრდა ცხოვრებაში საჭირო ისეთი აუცილებელი თვისებებისა, როგორიცაა გამძლეობა, დისციპლინა, მედგრობა და სიმამაცე“.

გამოცემაში დასტამბულია 500-მდე ტერმინ-სტატია საბჭოთა კავშირსა და საზღვარგარეთ სპორტის თანამედროვე მდგომარეობაზე, მის ძირითად სახეობებზე, ბავშვთა სპორტულ და სამხედრო-სპორტულ თამაშობებზე. ბევრი სტატია ეძღვნება საბჭოთა კავშირის სპორტული მოძრაობის წარჩინებულ მოღვაწეებსა და გამოჩენილ სპორტსმენებს—ი. პოდდუბნის, ნ. ანდრიანოვს, ლ. ლატინინას, ლ. ტურიშჩევას, ვ. ჩუკარინს, ვ. კუცს, გ. კულაკოვას, ვ. ალექსეევს, ი. ვლასოვს, ლ. ლინიშჩუკს, გ. კარპონოსოვს, ი. როდნინას, ა. ზაიცევს, ლ. იაშინს, ა. კარპოვს და ბევრ სხვას, რომლებმაც სამამულო სპორტს შორს გაუთქვეს სახელი. ლექსიკონში მოთავსებულია აგრეთვე ცნობები ისეთ გამოჩენილ ქართველ სპორტსმენებზე, როგორებიც არიან: ნ. გაფრინდაშვილი, მ. ჩიბურდანიძე, ლ. თედიაშვილი და სხვ. ლექსიკონის ავტორები ყურადღებას ამახვილებენ იმ დაძაბულ შრომაზე, რის გარეშეც მაღალი სპორტული შედეგების მოპოვება შეუძლებელია.

გამოცემა ფართოდ აშუქებს სპორტის თითქმის ყველა სახეობას. დიდი ადგილი ეთმობა საავიაციო სპორტს, ალპინიზმს, ფეხბურთს, ფრენბურთს, ველოსპორტს, წყალბურთს, ძალოსნობას, სპორტის ზამთრის სახეობებს, ჩოგბურთს, ფარიკაობას, ჰოკეის, ჭიდაობას, ჭადრაკს, შაშს და სხვ., გვაცნობს ამ სახეობათა ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლებს.

ლექსიკონში გაეცნობით ბევრ საინტერესო ფაქტს საბჭოთა სპორტის ცხოვრებიდან და მისი ისტორიიდან, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს სპორტს დღიდან მისი ჩასახვისა თანამედროვეობამდე, როცა საბჭოთა სპორტმა ფართო საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. გულთბილი სტრიქონები ეძღვნება ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურული ორგანიზაციის პირველ თავმჯდომარეს ნ. ი. პოდვოისკის, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ფიზკულტურული მოძრაობის ორგანიზაციაში.

ლექსიკონში დასტამბულია საინტერესო სტატიები — საერთაშორისო სტუდენტური თამაშობები, სრულიად საკავშირო მოსწავლეთა სპარტაკიადა, მშვიდობის ველორბოლა, კლასგარეშე და სკოლისგარეშე სპორტული მუშაობა, პიროვნების ჰარმონიული განვითარება, საბჭოთა კავშირის დოსაფი, სპორტული კლუბები, სსრ კავშირის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი, საერთაშორისო სპორტული გაერთიანება, სპორტსმენის მორალური და ნებელობითი თვისებები, ოლიმპიური თამაშები, ფიზიკური აღზრდის საბჭოთა სისტემა და ა. შ.

ტერმინ-სტატიებს მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება სპორტსმენების ყოველდღიურ ცხოვრებას — შრომას, სწავლას, დასვენებას, ჯანმრთელობის დაცვას. ამ სტატიებში ნორჩი სპორტსმენები ნახავენ სპეციალისტთა ბევრ სასარგებლო რჩევას. სათანადო შეფასება ეძლევა პრესისა და ტელევიზიის თვალსაჩინო როლს ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდაში.

საცნობარო გამოცემაში დიდი რაოდენობითაა სპორტული ემბლემები, რომელთაც სხვა წიგნებსა თუ ბროშურებში ვერ ნახავთ.

ვრცელი ტერმინ-სტატია ეძღვნება „ოლიმპიადა-80“-ს, აქ მოცემულია ცნობები საბჭოთა კავშირის ოლიმპიური კომიტეტის შესახებ, იმაზე, თუ რა ტიტანური შრომაა გაწეული ოლიმპიადის წარმატებით ჩასატარებლად. მკითხველი გაეცნობა აგრეთვე მოსკოვის სპორტულ სარბიელებს, რომლებიც XXII ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებენ.

ლექსიკონის ტერმინ-სტატიებს უამრავი ილუსტრაცია, სქემა, ნახატი და ცხრილი ახლავს, რაც კიდევ უფრო ამაღლებს მის შემეცნებითს ღირებულებას.

მკითხველი ბევრ პრაქტიკულ, მისთვის საინტერესო რჩევას მიიღებს იმის თაობაზე, თუ საკუთარი ძალებით ეზოებში როგორ მოაწყონ მარტივი ტიპის სპორტული მოედნები, შეარჩიონ სპორტული ინვენტარი, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ა. შ.

ეს ჩინებული გამოცემა უდავოდ იქცევა სპორტით დაინტერესებული ყველა ადამიანის სამაგიდო წიგნად.

ს. ჯაფარიძე.

„ფრანს ფუტბოლის“ კლასიფიკაცია

საფრანგეთის ყოველკვირეულმა გაზეთმა „ფრანს ფუტბოლმა“ შეადგინა საინტერესო კლასიფიკაცია, თუ რომელი იყო ევროპის საუკეთესო ეროვნული ნაკრები ფეხბურთში 1959-79 წლების მანძილზე. გამოკითხვის შედეგად ასეთად მიიჩნიეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები, რომელმაც საგანგებოდ შემუშავებული სკალით მოაგროვა 95 ქულა.

გამარჯვებულის შემდეგ მოდიან შემდეგი გუნდები: ინგლისი — 123, სსრ კავშირი — 124, იტალია, — 138, უნგრეთი — 154, იუგოსლავია — 163, ჩეხოსლოვაკია — 177, ესპანეთი — 186, ბელგია — 205, შვეცია — 206, ჰოლანდია — 217, გდრ — 225, ბულგარეთი —231 და ა. შ.

საანგარიშო პერიოდში გფრ-ის ნაკრები ხუთჯერ ედგა სათავეში კონტინენტის უძლიერესი გუნდების სიას (1968, 1972, 1974, 1976, 1977 წ. წ.), ოთხჯერ იყო მეორე და სამჯერ — მესამე.

ინგლისს (1965, 1969, 1972) და სსრ კავშირს (1960, 1967, 1971) ოცდაათ[illegible] სამ-სამჯერ იყვნენ პირველები, ხოლო იტალიელები (1970, 1973), ჰოლანდიელები (1974, 1978), უნგრელები (1959, 1964) და ჩეხოსლოვაკიელები (1962, 1975) — ორ-ორჯერ.

პირველ ნომრებად სხვადასხვა დროს, აგრეთვე, იყვნენ იტალიის (1964), შვეციის (1963), ავსტრიისა (1961) და იუგოსლავიის (1979) გუნდები.

აქვს თუ არა ფეხბურთელს ხმის უფლება?

„აქვს თუ არა ფეხბურთელს ხმის უფლება?“ — ასეთი სათაურით გამოაქვეყნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა ჰელმუტ შიონმა სტატია. მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონთა ხელმძღვანელს, საერთაშორისო საფეხბურთო წრეებში აღიარებულ სპეციალისტს მასში სამსჯავროდ გამოაქვს რამდენიმე ერთობ საყურადღებო პრობლემა.

კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ მუდამ მაღლა აყენებდა მოთამაშის მოსაზრებას, განსაკუთრებით უწევდა ანგარიშს წამყვან ფეხბურთელებს. „მე ხშირად ვეთათბირებოდი ბეკენბაუერს, ზეელერს, ოვერატს, შნელინგერს, გერდ მიულერს, შულცს, ნეცერს, ფოგთსს, —აღნიშნავს ჰ. შიონი. — სხვადასხვა საკითხზე რაც კი ეხებოდა მომავალი მატჩისთვის მზადებას თუ თვით თამაშის მსვლელობას, და არასოდეს მათი არგუმენტები ეჭვის ქვეშ არ დამიყენებია“.

ჰ. შიონი აღნიშნავს, რომ ბევრი მწვრთნელი, სამწუხაროდ, ყურადღებას არ აქცევს ხოლმე ფეხბურთელთა რჩევას, ანგარიშს არ უწევს მათს სურვილებს, რაც არავითარ შემთხვევაში არაა სწორი.

ჰ. შიონი ხაზს უსვამს, რომ საბოლოო სიტყვა ყველა შემთხვევაში მწვრთნელს ეკუთვნის, მაგრამ მისი ხელოვნება იმაშია, რომ კოლექტივში შექმნას ურთიერთნდობისა და კეთილგანწყობის ატმოსფერო. მისი სიტყვებით, სწორედ ამის მეოხებით შეძლო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებმა მიეღწია საერთაშორისო ასპარეზზე ასეთი დიდი წარმატებებისთვის.

უფერული თამაში

მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ევროპის ჩემპიონატის მასპინძელმა — იტალიის ნაკრებმა, რომლის ბირთვსაც ძველებურად ტურინის „იუვენტუსის“ მოთამაშეები შეადგენენ, ძალზე უფერულად ჩაატარა პირველი წლევანდელი ამხანაგური მატჩი ნეაპოლში რუმინეთის ნაკრებთან. იტალიელებმა შეხვედრა რის ვაივაგლახით მოიგეს (2:1) კაუზიოს მიერ ბოლო წუთებზე გატანილი გოლის წყალობით.

— ევროპის ჩემპიონატის სამზადისის პერიოდში ჩვენ სპარინგ-მატჩებში ძლიერი მეტოქეები გვჭირდება, — განაცხადა კატოვიცეს გაზეთ „სპორტის“ კორესპონდენტ ვასილიევსკისთან საუბარში იტალიელთა მწვრთნელმა ბეარზოტმა. —ჩვენ ისე შევარჩიეთ ჩვენი პარტნიორები, რომ ივნისისთვის ყველაზე ძლიერები შეგვხვდნენ.

ეროვნული ფეხბურთის ჯგუფი

ინგლისის ჩემპიონატი

იმის გამო, რომ გუნდების ნაწილი ეროვნული თასის მატჩებს თამაშობდა, ჩემპიონატში სულ 5 შეხვედრა გაიმართა. II ადგილზე მყოფმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ სტუმრად ფრედ ითამაშა „სტოკ სიტისთან“ — 1:1, „ნოტინჰემ ფორესტმა“ შინ ასევე ფრედ დაამთავრა გამოტოვებული მატჩი „მიდლსბროსთან“ — 2:2. ფრედ დასრულდა დანარჩენი სამი შეხვედრაც: „ბრაიტონ ალბიონი“ — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ 0:0, „დერბი ქაუნთი“ — „საუთჰემპტონი“ 2:2, „მანჩესტერ სიტი“ — „ლიდს იუნაიტედი“ 1:1.

ამრიგად, გათამაშების ცხრილს კვლავ ლიდერობს „ლივერპული“, რომელმაც 25 თამაშიდან 37 ქულა მოაგროვა, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედს“ 36 ქულა აქვს 27 თამაშიდან. ეს ორი გუნდი საკმაოდ დაშორდა დანარჩენებს, საკმარისია აღინიშნოს, რომ III ადგილზე მყოფ „საუთჰემპტონს“ 29 მატჩში 33 ქულა აქვს, IV ადგილზეა „არსენალი“, რომელმაც 27 თამაშიდან 32 ქულა მოაგროვა.

რედაქტორის მოადგილე

ზ. ჯაფარიძე.

ლოტერეა

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს“ VIII ტირაჟის შედეგები.

„სპორტლოტო 6-49“-დან:

პირველი: ექვსი და ხუთი პლიუს ერთი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის (26 ბარათი) მოგება 2358 მანეთია, ოთხი პლიუს ერთი ნომრის გამოცნობისთვის (162) — 68 მან, ოთხი ნომრის გამოცნობისთვის (1444) — 43 მან, სამი ნომრისთვის (27078) — 3 მან.

მეორე: ექვსი ნომერი და ხუთი პლიუს ერთი ნომერი აქაც ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის (20 ბარათი) მოგება 1543 მანეთია, ოთხი პლიუს ერთისთვის (42) — 71 მან, ოთხისთვის (682) — 46 მან, სამისთვის (13031) — 3 მან.

„სპორტლოტო 5-36“-დან:

პირველი: ხუთი ნომრის გამოცნობისთვის (9 ბარათი) მოგება 8664 მანეთია, ოთხისთვის (716) — 196 მან, სამისთვის (28119)— 6 მან.

მეორე: ხუთი ნომრის გამოცნობისთვის (6 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (1421) — 104 მან, სამისთვის (35665)— 5 მან.

მოგებათა გაცემა იწარმოებს 5 მარტიდან 5 აპრილის ჩათვლით.

(საკდესი).

14 მარტს

თბილისში, „განთიადის“ მძლეოსნობის სასახლეში (წერეთლის პრ. 95-ა) გაიმართება „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს VI პლენუმი.

დღის წესრიგი: 1. „განთიადის“ ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ გასულ წელს გაწეული მუშაობის შედეგები და 1980 წლის ამოცანები.

2. საზოგადოების ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანები კადრების მომზადების, აღზრდისა და სწორად გამოყენების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილების შესასრულებლად.

დასაწყისი 12 ს.

„განთიადის“ ცენტრალური საბჭო.

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

ა. წერეთლის გამზირი № 2

5 მარტი

ფეხბურთი

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი

„დინამო“ (მოსკოვი) — „ნანტი“ (საფრანგეთი)

დასაწყისი 19 სთ.

ბილეთების საერთო გაყიდვა „დინამოს“ სტადიონის სალაროებში 5 მარტს 10 საათიდან.

ძალაშია 1979 წლის ყველა სახის ხაშვი.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ფეხბურთის მასწავლებლის 0,5 საშტატო ერთეულზე.

კონკურსის ვადაა ერთი თვე გამოცხადების დღიდან.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში ყოველდღე 9-დან 16 საათამდე.

ინსტიტუტის მისამართია: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 49, ტელეფონები: 22-31-60 და 23-09-02.

თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს აკრობატიკისა და მხატვრული ტანვარჯიშის ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლა

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას.

სკოლაში სათანადო შემოწმების შემდეგ ჩაირიცხებიან:

მხატვრული ტანვარჯიშის განყოფილებაზე — 7-8 წლის გოგონები. მეცადინეობა იწარმოებს „შრომითი რეზერვების“ სპორტის სასახლეში (ოქტომბრის ქ. № 134) 9-დან 12 საათამდე და 16-დან 19 საათამდე.

აკრობატიკის განყოფილებაზე— 8-9 წლის გოგონები და ბიჭები. მეცადინეობა იწარმოებს არმიის თბილისის სპორტული კლუბის დარბაზში (გედევანიშვილის ქ. № 96).

ცნობებისთვის მიმართეთ სპორტული სკოლის დირექციას: მონტინის ქ. № 14 ტელ. 95-53-27.

გაზეთი გამოდის უოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მახობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

ИНДЕКС 66435 — 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 — უე 10985